ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 12 დეკემბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ს. ბერაია, მ. ლემონჯავა, გ. ბერაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით,

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტით ძირითადი ცვლილება შეეხებოდა სოციალურ პროგრამაში არსებული სხვადასხვა პროგრამის ეკონომიების ხარჯზე საოპერაციო და კვლევის ხარჯების გაზრდას, გამომსვლელის განცხადებით, აღნიშნული თანხები ყოველ წელს რომ არ გადავიტანოთ, ხომ არ აჯობებდა პირდაპირ მიემართათ საოპერაციო და კვლევების ხარჯის მუხლში?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ ჯანდაცვის სამსახური არსებული რეკომენდაციების საფუძველზე ადგენს სოციალურ პროგრამას, რასაც საფინანსო სამსახური შესაბამისად ასახავს შემდგომ ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს ლ. ლიპარტიას წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა- 36090,8 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 43344,1 ათასი ლარის ოდენობით. პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი

ცვლილებები და დამატებები: 165,0 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის" მუხლის ,,არაფინანსური აქტივების ზრდა" ასიგნებები კერძოდ: ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში ცოტნე დადიანის N235-ში (საკადასტრო კოდი: 45.21.21.582) საქმიანი ეზოს მოწყობის სამუშაოების ასიგნება. გამოთავისუფლებული 165,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,განათლება" ასიგნებებზე 165,0 ათასი ლარი, აქედან: 165,0 ათასი ლარი პროგრამის ,,სკოლამდელი განათლების დაფინანსება". ასიგნებაზე, აქედან: 165,0 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება"-ს სუბსიდია, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,პრემია (ჯილდო)" ასიგნება. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N25 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 12 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. მედეა თათარიშვილი
6. დოდო გაბუნია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. აკაკი მალანია
10. მანუჩარ ქაძანაია
11. ნუგზარ შუშანია
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. გიორგი გოგოხია
16. ალიოშა საჯაია
17. ირაკლი სახურია
18. ზაზა ალექსანდრია
19. ფრიდონ კუკავა
20. ირაკლი ალანია
21. გია წულაია
22. გიგა კაპანაძე
23. ლაშა ცატავა
24. კობა შონია
25. სერგო ბერაია
26. გიორგი ბერაია